186
1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1976 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი-დეკემბერი 1976 წ.

13.333

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

85. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენების რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობისა და ამოცანების შესახებ
86. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების რაოდენობის გადიდების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

87. 1976-1980 წლების მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებში შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის სოციალური განვითარების გეგმების შესრულების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

88. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაკურციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის შექმნის შესახებ
89. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 სექტემბრის № 727 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ქ. ზარეულის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

90. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელობითი სტიპენდიების დაწესების შესახებ
91. საქართველოს სამრეწველო სამკერვალო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ
92. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 34 დადგენილების დანართში დამატების შეტანის შესახებ
93. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ
94. საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის სასკოლო ფორმის ნიმუშების დამტკიცების შესახებ
95. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 21 თებერვლის № 168 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის გამო
96. საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და საშტატო რიცხოვნობის რეკომენდაციების, აგრეთვე ამ ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებისა და ხელფასის ფონდის დამტკიცების და შეცვლის წესის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ
97. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები
98. საქართველოს სს რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის მოწესრიგების შედეგად წარმოქმნილი მიწის პატარა ნაკვეთების კოლმეურნეების, სოფლად მცხოვრები მუშების, მოსამსახურებისა და სხვა მოქალაქეების პირად სარგებლობაში დატოვების წესის შესახებ.
99. ზოგიერთი მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კომისიისა და საუწყებათაშორისო საბჭოს გაუქმების შესახებ
100. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სამხატვრო-გასაფორმებელი საამქროს შექმნის შესახებ
101. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

85 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენების რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობისა და ამოცანების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენების რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობა, დანართის თანახმად.[1]

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენების რესპუბლიკური საბჭო:

ა) განიხილავს და დაამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ქალაქ მოსკოვში და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა ჩვენების თემატიკურ და თემატიკურ-საექსპოზიციო გეგმებს;

ბ) დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შერჩეულ ექსპონატებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ ჩვენებას გამოფენებზე;

გ) განიხილავს და დაამტკიცებს გამოფენათა გაფორმების მხატვრულ ეკიზებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის;

დ) მოამზადებს მასალებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეობის კანდიდატებზე და წარმოუდგენს მათ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ე) განიხილავს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოებისა და პრემირების საკითხებს და წარმოუდგენს შესაბამის მასალებს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

ვ) განიხილავს და გადაწყვეტს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოებისა და პრემირების საკითხებს;

ზ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დებულებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის შესახებ.

3. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 26 თებერვლის № 118 დადგენილება.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 2 ნოემბერი, № 784

1) დანართი არ მოიყვანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

86 მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების რაოდენობის გადიდების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. გამოეყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს 1977 წელს დამატებით სამი სახელმწიფო პრემია და გადიდდეს 1977 წლიდან მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების რაოდენობა შვიდამდე, აქედან ორი პრემია — სამეცნიერო სამუშაოთა დასაჯილდოებლად, ორი — ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში მუშაობისათვის, ერთი — საშუალო, საშუალო სპეციალური ან უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოსათვის, ერთი — მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგში სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთათვის და ერთი პრემია — სოფლის მეურნეობის დარგში სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთათვის, რომელთაც თვალსაჩინო მიღწევები აქვთ შრომაში.

2. დაევალოს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს 1977 წლის 20 ნოემბრამდე წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების კომიტეტს სოციალისტური შეჯიბრების იმ მოწინავეთა კანდიდატურები, რომელთაც თვალსაჩინო მიღწევები აქვთ შრომაში.

3. დაევალოთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილებას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების დებულებაში და წარმოუდგინონ ისინი დასამტკიცებლად საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 23 დეკემბერი, № 885

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

87 1976-1980 წლების მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებში შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის სოციალური განვითარების გეგმების შესრულების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ მეცხრე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის მეტ წილ სამრეწველო საწარმოებში სახალხო-სამეურნეო გეგმებთან ერთად შეიმუშავეს კოლექტივების სოციალური განვითარების პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმებიც.

საწარმოთა კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების შესრულებამ ხელი შეუწყო წარმოების მართვაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმას, საწარმოო დავალებათა წარმატებით განხორციელებას და სოციალურ საკითხთა გადაწყვეტას, აგრეთვე შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების შესრულებას.

ამ გეგმების შესაბამისად რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში აშენდა და რეკონსტრუირებულია საგარდერობო სადგომები, რომელთა საერთო ფართობი ათეულ ათასობით კვადრატულ მეტრს შეადგენს, მრავალი საშხაპე, პირსაბანი, ქალთა ჰიგიენის ოთახი და სხვა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობა. მთლიანად რესპუბლიკაში მომუშავეთა უზრუნველყოფა სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო სადგომებით გაიზარდა 15 პროცენტით. რეკონსტრუირებულ იქნა და აღიჭურვა ხუთი ათასზე მეტი ახალი და წინათ მოქმედი სავენტილაციო სისტემა და დანადგარი, რამაც არსებითად შეუწყო ხელი სამუშაო ადგილების საჰაერო გარემოს გაჯანსაღებას.

1975 წელს რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში განხორციელდა წარმოების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაცია.

ამასთანავე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ობიექტებში შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები. გვხვდება შემთხვევები, როცა გადამეტებულია დამტვერიანებულობისა და დაგაზიანებულობის, ხმაურისა და ვიბრაციის ზღვრულ-დასაშვები სანიტარიული ნორმები, არასაკმარისია ელექტროუსაფრთხოების უზრუნველყოფა, დაბალია განათებულობის დონე, შექმნილი არ არის მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის, თბილისის ხის დამმუშავებელი კომბინატის, საწარმოო გაერთიანება „თბილთამბაქოს“, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, რუსთავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიმიური და ცემენტის ქარხნების, ცხინვალის მექანიკური ქარხნის გაზმტვერსაწმენდი სისტემები და სავენტილაციო მეურნეობა, რის შედეგადაც მტვრის, ორთქლისა და გაზის კონცენტრაცია ცალკეულ უბნებზე და საამქროებში აღემატება ზღვრულ-დასაშვებ ნორმებს.

თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო მოწყობილობანი (საგარდერობოები, საშხაპეები, პირსაბნები, ქალთა ჰიგიენის ოთახები და ა. შ.). საწარმოო გაერთიანება „თბილლუდის“ საწარმოებში, თბილისის ავეჯის ექსპერიმენტულ ფაბრიკაში, თბილისის წისქვილკომბინატში, სოხუმის ფეხსაცმლის კომბინატში, გორის საკონსერვო ქარხანაში, ხოლო თელავის სამკერვალო ფაბრიკაში, გარდაბნის საკონსერვო ქარხანაში, ცხინვალის მექანიკურ ქარხანასა და ზოგიერთ სხვა საწარმოში ეს მოწყობილობანი საერთოდ არ გააჩნიათ.

მთლიანად არ შეუსრულებიათ შრომის პირობების გაუმჯობესების კომპლექსური გეგმები მეცხრე ხუთწლედში „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის დამხმარე საწარმოთა კომბინატს, თბილისის № 2 ავეჯის ფაბრიკას, ცხინვალის ხე-ტყის კომბინატს, წულუკიძის აბრეშუმსახვევ ფაბრიკას და მთელ რიგ სხვა საწარმოებს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ელექტროტექნიკური და მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებს არ დაუმთავრებიათ 1975 წელს იმ საწარმოთა სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის პასპორტიზაცია, სადაც ამ ღონისძიების განხორციელება პირველ რიგში იყო გათვალისწინებული.

შრომის დაცვის საქმეში არსებული სერიოზული ხარვეზები უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, მათი პარტიული ორგანიზაციები არ იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას შრომის დაცვის საუწყებო სამსახურებისადმი, არ იღებენ მკაცრ ზომებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ სახელმწიფო დისციპლინას და დაუდევრად ეკიდებიან მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტას, სუსტად უწევენ კონტროლს შესაბამის ღონისძიებათა შესრულებას.

პროფკავშირთა რესპუბლიკური და ადგილობრივი კომიტეტები არ იჩენენ საჭირო სიმტკიცესა და პრინციპულობას შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში, არ ქმნიან შეუწყნარებლობის ვითარებას შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის წესების დამრღვევთა მიმართ.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების და განსაკუთრებით შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების შემუშავება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და შესრულებას 1976-1980 წლებში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა და დარგობრივმა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა დირექტორებმა:

— უზრუნველყონ ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციაში შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა 1976-1980 წლების კომპლექსური ხუთწლიანი გეგმების შემუშავება, როგორც კოლექტივების სოციალური განვითარების გეგმების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილისა;

— შრომის დაცვის თაობაზე კოლექტიურ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შემუშავებისას აუცილებლად გაითვალისწინონ აღნიშნული ხუთწლიანი კომპლექსური გეგმებით დასახული ღონისძიებანი;

— მოყოლებული 1976 წლიდან, სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის შედეგების შეჯამებისას განიხილონ შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების შესრულების მაჩვენებლები.

2. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს ყოველწლიურად პირველ კვარტალში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს ინფორმაციები ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების შესრულების შესახებ.

3. სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად დაევალოთ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს მიიღონ ქმედითი ზომები შრომის დაცვის პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილებისათვის, საწარმოო შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობის ექსპლუატაციის საქმეში უმკაცრესი წესრიგის დამყარებისათვის, ტექნოლოგიური დისციპლინის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის წესებისა და ნორმების დაცვისათვის.

4. პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, რესპუბლიკურმა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა გააძლიერონ კონტროლი შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობისადმი, შრომის კანონმდებლობის ზუსტად და განუხრელად დაცვისადმი; მიაღწიონ შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ხუთწლიანი კომპლექსური გეგმებით დასახული ყველა ღონისძიების შესრულებას.

5. კონტროლი საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შრომის დაცვის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ხუთწლიანი კომპლექსური გეგმების შესრულებისადმი დაეკისროთ საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

6. დაევალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას ფართო პროპაგანდა გაუწიოს რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე იმ გამოცდილებას, რომელიც საწარმოებმა შეიძინეს სოციალური განვითარების გეგმის, განსაკუთრებით შრომის პირობების გაუმჯობესებისა და სანიტარიულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა წარმატებით შესრულების საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.	**ზ. პატარიძე.**	**თ. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 24 დეკემბერი, № 867.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

88 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაკურციხის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის შექმნის შესახებ

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის საშუალო რგოლის სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებისა და „საშუალო სპეციალური სასწავლებლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფისა და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 აგვისტოს № 656 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო სანერგე მეურნეობების ტრესტის ბაკურციხის სახელმწიფო სანერგე მეურნეობა გარდაიქმნას სანერგე საბჭოთა მეურნეობად და ამ საბჭოთა მეურნეობისა და ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე შეიქმნას ბაკურციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმი.

2. ბაკურციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმმა თავისი საქმიანობა წარმართოს საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დებულების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია 1965 წლის 7 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

3. ბაკურციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმი შეიქმნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის 1976 წელს დამტკიცებული სამმართველო აპარატის რიცხოვნობისა და შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში, ბიუჯეტთან ურთიერთობის შეუცვლელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 3 ნოემბერი, № 753.

89 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 სექტემბრის № 727 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ხელფასის სახსრების ხარჯვისადმი კონტროლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 ივლისის № 537 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 სექტემბრის № 727 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 თებერვლის № 49 დადგენილებისა „1964 წელს თევზის მრეწველობის ფლოტის გემების რემონტის დაჩქარების ზომების შესახებ“;

— მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ნოემბრის № 680 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ხარისხოვანი ფქვილის წარმოების გაფართოების მიზნით 1966-1970 წლებში წისქვილების საწარმოო სიმძლავრეთა გადიდების შესახებ.

2. „სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების მიცემის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 აგვისტოს № 651 დადგენილების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„2. უფლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან შეთანხმებით მოახდინონ სამრეწველო საწარმოებისა და საწარმოო გაერთიანებების მიხედვით ხელფასის სახსრების გაცემის ნორმატივების დიფერენციაცია მრეწველობის შესაბამის დარგში მოქმედი საშუალო ნორმატივის ფარგლებში იმ ვარაუდით, რომ ცალკეული საწარმოსათვის, გაერთიანებისათვის მისაცემი ხელფასის სახსრების ოდენობა არ აღემატებოდეს წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების (უკმარშესრულების) ყოველ პროცენტში ხელფასის ფონდის 0,9 პროცენტს. აღნიშნული ნორმატივების დიფერენციაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით“.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 7 სექტემბრის № 727 დადგენილებით:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალა 1976 წლის 1 ოქტომბრიდან:

—1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 ივლისის № 736 დადგენილებისა „სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების მიცემის წესის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 აგვისტოს № 651 დადგენილებით;

— 31-ე პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილებისა „სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 მაისის № 291 დადგენილებით.

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 ოქტომბრის № 1614 განკარგულებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების 84-ე პუნქტის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ხელფასის ფონდის გადახარჯვა უნდა ანაზღაურდეს ერთი-ორი კვარტალის განმავლობაში, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც დაუშვეს ხელფასის ფონდის გადახარჯვა, ჩამოერთმევათ პრემია მის ანაზღაურებამდე. ხელფასის ფონდის გადახარჯვის თანხის შეუვსებელი ნაწილი ირიცხება საწარმოზე გადახარჯვის წარმოქმნის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 15 ნოემბერი, № 788

ეროვნული ბიბლიოთეკა

90 ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტებისათვის სახელოგითი სტიპენდიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თხოვნა და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში დამატებით დაწესდეს წარჩინებული სტუდენტებისათვის:

პროფესორ გ. კ. გედევანიშვილის სახელობის სტიპენდია — 65 მანეთის ოდენობით (ერთი);

პროფესორ გ. დ. გოცირიძის სახელობის სტიპენდია — 65 მანეთის ოდენობით (ერთი);

კომკავშირის სახელობის სტიპენდია — 65 მანეთის ოდენობით (ორი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 15 ნოემბერი, № 792

91 საქართველოს სამრეწველო სამკერვალო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო სამკერვალო გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. პატარიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 26 ნოემბერი, № 803

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 26 ნოემბრის № 803
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო სამკერვალო გაერთიანების (საქკერვმრეწვის) შესახებ

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს სამრეწველო სამკერვალო გაერთიანება (საქკერვმრეწვი) წარმოადგენს ერთიან საწარმოო-სამეურნეო კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედიან შეკერილი ნაწარმის გამომშვები საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები და ტანსაცმლის მოდელების რესპუბლიკური სახლი.

გაერთიანება საქკერვმრეწვი პასუხისმგებელია საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობისა და განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ტექნიკური დონისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის და ამ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილებისათვის, კაპიტალური დაბანდების ეფექტიანი გამოყენებისათვის, საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედებისა და ათვისებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო დავალებათა და საბიუჯეტო ვალდებულებათა შესრულებისათვის.

2. საქკერვმრეწვი უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს.

3. საქკერვმრეწვის საქმიანობას საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობის, სამრეწველო გაერთიანების და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ინტერესების დაცვა საწარმოო გაერთიანებების და საწარმოების სამეურნეო დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან საქკერვმრეწვის ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის სწორი შეხამებით.

საქკერვმრეწვი მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოების დანახარჯების სრულ ანაზღაურებას, მათ შორის საპროექტო, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დანახარჯების ანაზღაურებას, ახალი ნაწარმისა და პროცესების ათვისებას (გარდა იმ სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და ახალი ტექნიკის ათვისების სამუშაოებისა, რომლებიც დადგენილი წესით ფინანსდება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სახსრების ხარჯზე), სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯების ანაზღაურებას, აგრეთვე უზრუნველყოფს მოგების მიღებას, რომელიც საჭიროა ბიუჯეტთან და ბანკებთან ანგარიშსწორებისათვის, საქკერვმრეწვის განვითარებისათვის, ფონდების, რეზერვების შექმნისა და სხვა მიზნებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის წარმოების ხარჯების სრული ანაზღაურება და მოგების მიღება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფასწარმოქმნის დისციპლინის ზუსტი დაცვის პირობებში.

საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო საქკერვმრეწვს დადგენილი წესით გამოუყოფს კაპიტალურ დაბანდებას.

4. საქკერვმრეწვის მთავარი ამოცანებია:

— განავითაროს და სრულყოს წარმოება და რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება შეკერილ ნაწარმსა და სხვა პროდუქციაზე, რომლებსაც საქკერვმრეწვის საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები ამზადებენ;

— შეიმუშაოს ოპტიმალური გეგმები, შეასრულოს წარმოების, მოგებისა და სახელმწიფო გეგმის სხვა მაჩვენებლების დავალებანი, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა და დაიცვას სახელმწიფო დისციპლინა;

— უზრუნველყოს ტექნიკური პროგრესი, ფართოდ გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, უსწრაფესად დანერგოს წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, ახალი მანქანები და მექანიზმები, მოაწყოს ახალი ტექნიკის სამუშაოთა დაგეგმვა;

— გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია, აითვისოს ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით შეესაბამება საუკეთესო საბჭოურ და საზღვარგარეთულ ნიმუშებს ან აღემატება ამ ნიმუშებს და აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნებს;

— უზრუნველყოს მთელი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარება, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ყოველნაირი გადიდება წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, აგრეთვე ნედლეულის კომპლექსური გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის გადიდების საფუძველზე;

— რაციონალურად გამოიყენოს და აამაღლოს კაპიტალური დაბანდების ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ვადები და ღირებულება, უზრუნველყოს საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედება და სრული გამოყენება;

— უზრუნველყოს, რომ საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები ასრულებდნენ დადგენილი რაოდენობით პროდუქციის მიწოდების ვალდებულებებს ხელშეკრულებებით (შესასრულებლად მიღებული განრიგებით) დაწესებული ვადებისა და ნომენკლატურის (ასორტიმენტის) შესაბამისად;

—სრულყოს დაგეგმვა და მართვა, დანერგოს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია, აამაღლოს საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მართვაში ეკონომიური მეთოდების როლი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უზრუნველყოს სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება და წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობა, განახორციელოს საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებანი;

— გააუმჯობესოს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები, შექმნას შრომის რაც შეიძლება ხელსაყრელი და უსაფრთხო პირობები.

5. საქკერვმრეწვის სამმართველო ხელმძღვანელობს მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს და მათ მიმართ გამოდის, როგორც ზემდგომი ორგანო, ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვს მის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობანი და იურიდიულ პირს წარმოადგენს.

6. წარმოების ეფექტიანობის გადიდების მიზნით საქკერვმრეწვი ახორციელებს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას და, საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული წესით ახდენს ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების მთლიან ან ნაწილობრივ ცენტრალიზაციას.

საქკერვმრეწვის სამრეწველო გაერთიანებას და სამკერვალო ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული შესრულება, ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების წინაშე ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულებისათვის იმ საფუძვლებზე, რომლებსაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა ან დადებული ხელშეკრულებანი.

საჭირო შემთხვევებში, საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული შესრულების დროს, საქკერვმრეწვს შეუძლია განსაზღვროს საწარმოო გაერთიანებათა და გაერთიანების სამმართველოს შორის მოვალეობების საფუძვლები და წესი, და პასუხისმგებლობა (მათ შორის ჯარიმა, საურავი, საუპირო) დააწესოს მათ მიერ ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ასეთ ვალდებულებათა წარმოქმნის საფუძველი და წესი გათვალისწინებული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

7. საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შედიან საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები, რომლებიც იურიდიულ პირებს წარმოადგენენ და შესაბამისად მოქმედებენ საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულების და სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულების საფუძველზე.

8. საქკერვმრეწვის სამმართველო თავის მუშაობას საფუძვლად უდებს კოლეგიალობისა და ერთმმართველობის შეხამებას გაერთიანების ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში და ზუსტად განსაზღვრავს თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობას მუშაობის მინდობილ უბანზე საქმის მდგომარეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კოლექტივები ფართოდ მონაწილეობენ სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის, საქკერვმრეწვის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის, საქკერვმრეწვის საწარმოო გაერთიანებების და საწარმოების სოციალისტური შეჯიბრებისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციის, აგრეთვე მისი მუშაკების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვასა და განხორციელებაში.

საქკერვმრეწვის სამმართველო პროფკავშირის ორგანიზაციასთან ერთად რეგულარულად მართავს საწარმოო-ტექნიკურ და ეკონომიკურ კონფერენციებს, აქტივის თათბირებს, რომლებზეც იხილავენ როგორც მთლიანად საქკერვმრეწვის, ისე მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების საქმიანობისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

9. თავის საქმიანობაში საქკერვმრეწვი ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით, სხვა მოქმედი ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით, ზუსტად იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

საქკერვმრეწვის სამმართველო მოვალეა დაიცვას მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების უფლებები.

10. საქკერვმრეწვის სამმართველო ახორციელებს საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს დაგეგმვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, კადრების, შრომისა და ხელფასის, ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში.

11. საქკერვმრეწვის სამმართველო ამტკიცებს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების წესდებებს.

12. საქკერვმრეწვის სამმართველო დადგენილი წესით აწყობს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების მონაწილეობით ხელშეკრულებისწინა და ქონებრივი დავის განხილვას, აგრეთვე წყვეტს დავას (ას მანეთამდე ღირებულების სარჩელზე) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულებით დადგენილი წესით.

13. საქკერვმრეწვს ხელმძღვანელობს მისი სამმართველო. სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი, რომელიც ერთმმართველობის საფუძველზე მოქმედებს.

14. საქკერვმრეწვის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო. საქკერვმრეწვის უფროსი ხელმძღვანელობს გაერთიანების მთელ მუშაობას და მთლიანად პასუხისმგებელია მისი საქმიანობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. საქკერვმრეწვის უფროსი, მოქმედი კანონმდებლობის, საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებისა და ამ დებულების შესაბამისად, საქკერვმრეწვის ინტერესების წარმომადგენელია ყველა საწარმოში, დაწესებულებასა ორგანიზაციაში, და განაგებს საქკერვმრეწვის სამმართველოზე გაპიროვნებულ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის მინდობილობის გადაცემის უფლებით), ხსნის ბანკში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქკერვმრეწვის უფროსი გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოდ იღებს და სამუშაოდან ითხოვს საქკერვმრეწვის სამმართველოს მუშაკებს, აგრეთვე დადგენილი ნომენკლატურის მიხედვით, საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა მუშაკებს, ახორციელებს ამ მუშაკების წახალისების ღონისძიებებს და ადებს მათ სასჯელს.

საქკერვმრეწვის უფროსი აუქმებს ამ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან იძლევა სავალდებულო მითითებებს ამ ბრძანებათა შეცვლის შესახებ, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებათა ზოგად დებულებას, ამ დებულებასა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

16. საქკერვმრეწვის უფროსის მოადგილეებს, ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს, მთავარ ბუღალტერს, უფროს იურისკონსულტს და საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ხელმძღვანელ მუშაკებს, თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით, რომელსაც საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ამტკიცებს, სამინისტრო ნიშნავს თანამდებობაზე და ათავისუფლებს თანამდებობიდან საქკერვმრეწვის უფროსის წარდგინებით.

17. საქკერვმრეწვის უფროსის მოადგილეებისა და ამ გაერთიანების საქმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკების კომპეტენციას განსაზღვრავს გაერთიანების უფროსი.

საქკერვმრეწვის უფროსის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მინდობილობის გარეშე მოქმედებენ და საქკერვმრეწვის ინტერესების წარმომადგენლები არიან სხვა საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ახორციელებენ სამეურნეო ოპერაციებს და დებენ ხელშეკრულებებს, აგრეთვე მინდობილობებს აძლევენ საქკერვმრეწვის სამმართველოს მუშაკებსა და ამ გაერთიანების შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა მუშაკებს.

18. საქკერვმრეწვის მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით და ეს ხარჯები იფარება იმ შემოსავლიდან, რომელსაც საქკერვმრეწვის სამმართველო იღებს საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელებისაგან, აგრეთვე საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულებას განეკუთვნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქკერვმრეწვის სამმართველოს შენახვის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს და ცვლის საქკერვმრეწვის უფროსი იმ ასიგნებათა საერთო თანხის ფარგლებში (ხელფასის ფონდის გამოყოფით), რომლებსაც საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო აწესებს ამ მიზნებისათვის.

19. საქკერვმრეწვის სამმართველოს სტრუქტურასა და საშტატო რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო. საქკერვმრეწვის სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფები და სამსახურები მოქმედებენ მათ შესახებ დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საქკერვმრეწვის უფროსი. საქკერვმრეწვის სამმართველოს საშტატო ნუსხას ამტკიცებს საქკერვმრეწვის უფროსი.

საქკერვმრეწვის სამმართველოს მუშაკების თანამდებობრივ განაკვეთებს ადგენს და ცვლის საქკერვმრეწვის უფროსი თანამდებობრივი განაკვეთების მოქმედი სქემის შესაბამისად და საქკერვმრეწვის სამმართველოს ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც თანამდებობრივი განაკვეთების სქემის საშუალო განაკვეთებით იანგარიშება.

20. თავის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ინტერესებთან საქკერვმრეწვის ინტერესების შეხამების, აგრეთვე მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით იქმნება დირექტორთა საბჭო.

21. დირექტორთა საბჭოში შედიან საქკერვმრეწვის უფროსი, მისი მოადგილეები, საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა გენერალური დირექტორები (დირექტორები), აგრეთვე შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენელი.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა საქკერვმრეწვის უფროსი.

დირექტორთა საბჭოს მუშაობაში, როცა საჭიროა, იზიდავენ საქკერვმრეწვის სპეციალისტებსა და ხელმძღვანელ მუშაკებს, წარმოების მოწინავეებს, აგრეთვე სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა წარმომადგენლებს.

22. დირექტორთა საბჭო განიხილავს:

— მთლიანად საქკერვმრეწვის, აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს;

— საქკერვმრეწვის, მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ანგარიშებს, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულების ანგარიშებს;

— ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე სტანდარტების დანერგვის უზრუნველყოფის საკითხებს;

— იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს, რომელთა მიზანია საწარმოო გაერთიანებებისა და საწარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების უზრუნველყოფა, საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენება, საქკერვმრეწვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა;

— სამეურნეო ანგარიშისა და ხელშეკრულებათა სისტემების პრინციპების საფუძველზე მომარაგება-გასაღების ორგანოებთან და სხვა გაერთიანებებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქკერვმრეწვის სამეურნეო კავშირურთიერთობის ორგანიზაციის საკითხებს, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობითა და ნომენკლატურით (ასორტიმენტით) პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების ორგანიზაციის გაუმჯობესება;

—საქკერვმრეწვის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასების შეცვლის გეგმების პროექტებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდა, წარმოების დანახარჯების შემცირება, აგრეთვე გამოშვებულ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების საჭიროება;

— შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის საკითხებს;

— კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს;

— საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა ეკონომიკური სტიმულირების ფონდების წარმოქმნის ნორმატივების პროექტებს, ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების, აგრეთვე საქკერვმრეწვის სხვა ფონდებისა და რეზერვების გამოყენების საკითხებს;

— ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის, ამ ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ოდენობისა და წყაროების საკითხებს;

— საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებათა და საწარმოთა კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხებს;

— საქკერვმრეწვის საქმიანობის სხვა საკითხებს.

23. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, საქკერვმრეწვის უფროსის ბრძანებებით ხორციელდება.

საქკერვმრეწვის უფროსსა და დირექტორთა საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში, ხორციელდება საქკერვმრეწვის უფროსის გადაწყვეტილება, ამასთანავე იგი სამინისტროს მოახსენებს წარმოქმნილი უთანხმოების შესახებ. თავის მხრივ დირექტორთა საბჭოს წევრებს შეუძლიათ თავიანთი აზრი გააცნონ სამინისტროს.

24. საქკერვმრეწვის ქონება შედგება ძირითადი და საბრუნავი სახსრებისაგან, ფონდებისა და სხვა ქონებისაგან, რომელიც გაპიროვნებულია მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებზე, აგრეთვე ძირითადი და საბრუნავი სახსრებისაგან, ფონდებისაგან, რეზერვებისა და სხვა ქონებისაგან, რომელიც გაპიროვნებულია საქკერვმრეწვის სამმართველოზე.

საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებზე გაპიროვნებული ქონება აისახება მათ დამოუკიდებელ ბალანსებში, ხოლო საქკერვმრეწვის სამმართველოზე გაპიროვნებული ქონება — ამ სამმართველოს დამოუკიდებელ ბალანსში. აღნიშნული ბალანსები საქკერვმრეწვის კრებსით ბალანსში შედის.

25. საქკერვმრეწვის სამმართველოზე გაპიროვნებულია შემდეგი ფონდები და რეზერვები:

წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდი;

მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი;

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი;

ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი;

ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდი;

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისათვის ხელშეწყობის ფონდი;

კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების რეზერვი.

საქკერვმრეწვის სამმართველოს შეუძლია შექმნას ხელფასის ფონდი, საქკერვმრეწვისათვის საკრედიტო გეგმით დადგენილი კრედიტის თანხების, ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების რეზერვები, აგრეთვე საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ნებართვით — სხვა ფონდები და რეზერვები ისეთი ოდენობით, რომლებსაც სამინისტრო განსაზღვრავს, მისთვის დადგენილი ფონდებისა და რეზერვების ფარგლებში.

26. მოგების გადასახდელების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახორციელებენ საქკერვმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებანი და საწარმოები.

27. საქკერვმრეწვის საქმიანობას ამოწმებენ და რევიზიას უწევენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სხვა ორგანოები იმ წესით, რომელიც დადგენილია მოქმედი კანონმდებლობით.

28. საქკერვმრეწვის რეორგანიზაცია (გაერთიანება, შეერთება, გაყოფა და გამოყოფა) და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნეს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან.

29. საქკერვმრეწვის სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და ამ გაერთიანების დასახელება.

30. საქკერვმრეწვის სამმართველოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

92 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 34 დადგენილების დანართში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 28 იანვრის № 34 დადგენილებით დამტკიცებულ იმ სამინისტროებისა და უწყებების ნუსხას, რომლებსაც უფლება აქვთ უფასოდ გადაიყვანონ მუშები და მოსამსახურეები საუწყებო ავტობუსებით, შემდეგი შინაარსის პუნქტი:

„4. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების საუწყებო ავტობუსები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 26 ნოემბერი, № 804

93 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 დეკემბრის № 752 დადგენილებით დამტკიცებულ ღონისძიებათა ნუსხაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 თებერვლის № 80 დადგენილებით შეტანილ მე-18 პუნქტს დაემატოს სიტყვები „ელექტროგამომთვლელი მანქანების შეძენა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 26 ნოემბერი, № 808

ეროვნული ბიბლიოთეკა

94 საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სასკოლო ფორმის ნიმუშების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სასკოლო ფორმის ნიმუშები, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების სახლმა და მოიწონა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

2. დამტკიცდეს სასკოლო ფორმის ტანსაცმლის ტექნიკური აღწერილობა.

3. ახალი სასკოლო ფორმა შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 იანვრიდან.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 ივლისის № 374 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 2 დეკემბერი, №817

ეროვნული ბიბლიოთეკა

95 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 21 თებერვლის № 168 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის გამო

„სამოქალაქო კანონმდებლობისა და ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობის საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 19 ოქტომბრის № 851 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1946 წლის 21 თებერვლის № 168 დადგენილება „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 11 დეკემბერი № 838

96 საკოლმეურნეოგბათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და საშტატო რიცხოვნობის რეკომენდაციების, აგრეთვე ამ ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებისა და ხელფასის ფონდის დამტკიცების და შეცვლის წესის რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს რეკომენდაციები რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და საშტატო რიცხოვნობის შესახებ, აგრეთვე რეკომენდაციები ამ ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებისა და ხელფასის ფონდის დამტკიცების და შეცვლის წესის შესახებ, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 3 იანვრის № 4 დადგენილების შესაბამისად შეიმუშავა რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქკოლმეურნმშენმა“ რესპუბლიკის კოლმეურნეობათა საბჭოს მონაწილეობით და შეთანხმებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან.

2. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში მოქმედი მშენებლობაში მოძრავი ხასიათის სამუშაოებისათვის დანამატების გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემის წესი გავრცელდეს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებზე მეპაიე კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრებების თანხმობით, თუ შესასრულებელ სამუშაოთა პირობები და ხასიათი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის მოძრავი მექანიზებული კოლონების სამუშაოთა პირობებისა და ხასიათის ანალოგიურია.

3. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში მოქმედი ერთიან ფასდებათა ზონალური კატალოგების, მათი დამატებების, განმარტებებისა და შესწორებების გამოყენების, აგრეთვე მის მიერ შესასრულებელი მშენებლობის ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას ლიმიტირებული და არალიმიტირებული ხარჯების გაანგარიშების წესი გავრცელდეს მშენებლობის იმ ობიექტებზე, რომლებზეც სამუშაოებს აწარმოებენ რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის“ სამშენებლო ორგანიზაციები.

4. დაუწესდეთ 0,4-0,7 მილიონი მანეთის სამუშაოთა მოცულობის მქონე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მმართველობის აპარატის მუშაკებს თანამდებობრივი სარგოები სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1968 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული ანალოგიური სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა შრომის ანაზღაურების IV, ყველაზე დაბალი ჯგუფის მიხედვით, ხოლო მათი შენახვის ხარჯები გაწეულ იქნეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

5. რჩევა მიეცეთ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მეპაიე კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრებებს:

ა) ინდუსტრიული მეთოდების გამოყენებით თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე სამშენებლო წარმოების ორგანიზაციის მიზნით გააერთიანონ მცირე სიმძლავრის რაიონული საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები იმ რაიონებში, სადაც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა საკოლმეურნეო მშენებლობის ხაზით არ აღემატება 0,7 მილიონ მანეთს წელიწადში, და შექმნან მათ ბაზაზე სარაიონთაშორისო საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები;

ბ) იმის გათვალისწინებით, რომ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ან მათთან გათანაბრებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე ცალკეული რაიონების სამრეწველო საწარმოებში ამ დამტკიცებული რეკომენდაციების სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით შემცირდება ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ მიღებული ხელფასი, განიხილონ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენთან“ შეთანხმებით საკითხი იმის შესახებ, რომ აღნიშნული კატეგორიის მუშაკებს შეუნარჩუნდეთ და მიეცეთ ხელფასის სხვაობა იმავე თანამდებობაზე მათი მუშაობის დროისათვის.

6. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნმშენს“ სამოქმედოდ შემოიღოს დამტკიცებული რეკომენდაციები 1977 წლის 1 იანვრიდან.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკურ გაერთიანებას, მშრომელთა დეპუტატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს გაუწიონ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს დახმარება დამტკიცებული რეკომენდაციების დანერგვასა და სწორად გამოყენებაში და უზრუნველყონ რესპუბლიკის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი რეკომენდაციებიდან გამომდინარე ცვლილებათა შეტანა სამეურნეო-საფინანსო გეგმებში.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს (ამბ. თავამაიშვილი) რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნმშენის" შეკვეთით გამოსცეს ამ დადგენილებით დამტკიცებული რეკომენდაციები 1.000 ცალი ტირაჟით ქართულ ენაზე და 500 ცალი — რუსულ ენაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 21 დეკემბერი, № 861

97 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურა, დანართის თანახმად.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის სამი მოადგილე (პირველი მოადგილის ჩათვლით) და კომიტეტის ათი წევრი.

5. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტთან იქმნება სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს დაამტკიცოს სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა და მისი დებულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

— კონტროლი გაუწიოს შრომისა და მისი ანაზღაურების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების და შესაბამის წინადადებათა შემუშავების თაობაზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

— შეიმუშაოს და განახორციელოს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების მობილიზაციის, მისი პირობების, შინაარსის, ორგანიზაციისა და ნორმირების გაუმჯობესების, მატერიალური და მორალური სტიმულირების სრულყოფის ღონისძიებანი; ხელი შეუწყოს სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას;

— კოორდინაცია გაუწიოს საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცნიერულ გამოკვლევებს შრომის პრობლემებზე;

— განახორციელოს მოსახლეობის შრომითი მოწყობა, აგრეთვე მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია მუშებსა და მოსამსახურეებზე საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა მოთხოვნილების შესახებ;

— განახორციელოს მუშათა ორგანიზებული შეგროვება და გადასახლება-დასახლება;

— მონაწილეობა მიიღოს ახალი სამრეწველო მშენებლობის განლაგების გეგმათა პროექტების შემუშავებაში იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს შრომისუნარიანი მოსახლეობის რაც შეიძლება სრული და რაციონალური დასაქმება საზოგადოებრივ მეურნეობაში.

7. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტს:

— ხელმძღვანელობა გაუწიოს შრომის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას;

— მოამზადოს წინადადებანი პერსპექტიული და მიმდინარე სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტების მიხედვით შრომის ნაყოფიერებისა და მეცნიერული ორგანიზაციის, შრომითი რესურსების ბალანსის ნაწილში, მონაწილეობა მიიღოს ამ გეგმების განხილვაში და წარადგინოს მათ გამო დასკვნები;

— შეისწავლოს და განაზოგადოს სადარგთაშორისო მნიშვნელობის მქონე მოწინავე გამოცდილება შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების, მისი ნაყოფიერების ამაღლების, შრომითი რესურსების გამოყენების დარგში, შეიმუშაოს რეკომენდაციები ამ გამოცდილების გამოყენებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივმა საგეგმო და სტატისტიკურმა ორგანოებმა წარუდგინონ — შესაბამისად — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს საგეგმო, საანგარიშგებო და სტატისტიკური მასალები შრომის, შრომითი რესურსების, სახალხო მეურნეობაში მუშახელის გამოყენების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და ამაღლების საკითხებზე, შრომითი რესურსების საგეგმო და საანგარიშგებო ბალანსები, რესპუბლიკისა და მისი ადმინისტრაციული ნაწილების სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების გეგმათა ძირითადი მაჩვენებლები, აგრეთვე სხვა მასალები, რომლებიც სჭირდებათ შრომის ორგანოებს მათთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას მუშახელის რაციონალურად გამოყენებისათვის.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი დაამტკიცებს შრომის ადგილობრივი ორგანოების ტიპობრივ შტატებს, წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი აღნიშნული ორგანოების საშტატო რიცხოვნობის შესახებ მათი ფუნქციებისა და უფლებების გაფართოებასთან და კვალიფიციური კადრებით ამ ორგანოების განმტკიცების საჭიროებასთან დაკავშირებით.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან ერთად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის დებულება ორი თვის ვადაში მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის დებულებას.

13. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დებულება შრომის ადგილობრივი ორგანოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 22 დეკემბერი, № 862

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 22 დეკემბრის № 862
დადგენილების დანართი

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომის სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატისა

კომიტეტის ხელმძღვანელობა;
ხელმძღვანელობასთან არსებული აპარატი;
კრებსით-ეკონომიკური განყოფილება;
მრეწველობაში შრომის ორგანიზაციის, პირობების, ნაყოფიერებისა და მუშახელის გამოყენების განყოფილება;
მშენებლობაში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში შრომის ორგანიზაციის, პირობების, ნაყოფიერებისა და მუშახელის გამოყენების განყოფილება;
სოფლის მეურნეობაში შრომის ორგანიზაციის, პირობების, ნაყოფიერებისა და მუშახელის გამოყენების განყოფილება;
არასაწარმოო დარგებში შრომის ორგანიზაციის, პირობებისა და მუშახელის გამოყენების განყოფილება;
შრომითი რესურსების განყოფილება;
მოწინავე გამოცდილების, სოციალისტური შეჯიბრების, წარმოებაში კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილება;
შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის განყოფილება;
ორგშეგროვებისა და გადასახლება-დასახლების განყოფილება;
საკანცელარიო და სამეურნეო მომსახურების განყოფილება;
ბუღალტერია;
შრომის სამეცნიერო საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

98 საქართველოს სს რესპუბლიკაში მიწათსარგებლობის მოწესრიგების შედეგად წარმოქმნილი მიწის პატარა ნაკვეთების კოლმეურნეების, სოფლად მცხოვრები მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეების პირად სარგებლობაში დატოვების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 77-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობის წესდებით კოლმეურნეთათვის გათვალისწინებული ნორმის, საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 77-ე მუხლისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 30 ოქტომბრის № 583 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად სოფლად მცხოვრები მუშების, მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეების საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმამდე დაყვანისას კოლმეურნეს ან მუშა-მოსამსახურეს საკარმიდამო მიწა აღმოაჩნდება ნორმაზე მეტი 0,03 ჰექტარამდე, რომლის გამოყენება კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობისათვის გაძნელებულია და საწარმო-დაწესებულებებისათვის ან სხვა მოქალაქეთათვის მისი გადაცემა შეუძლებელია, დარჩეს კოლმეურნის ან მუშა-მოსამსახურის ფაქტიურ სარგებლობაში და ეს ფართობი აღირიცხოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწის ზონარგაყრილ წიგნში.

2. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 21 მაისის № 301 დადგენილება „საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებით სარგებლობის წესებში ზოგიერთი დამატების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 24 დეკემბერი № 865

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 ზოგიერთი მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კომისიისა და საუწყებათაშორისო საბჭოს გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ცალკეული გადაწყვეტილებებით, აგრეთვე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით სხვადასხვა დროს სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში შეიქმნა 28 მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კომისია და საუწყებათაშორისო საბჭო.

ამ კომისიებისა და საბჭოების საქმიანობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მათი არსებობა ასეთი დიდი რაოდენობით განსაკუთრებული საჭიროებით არ არის გამოწვეული. მათი ნაწილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შექმნამდე ჩამოყალიბდა და ფაქტიურად სამინისტროებისა და უწყებების ზოგიერთი ფუნქციის დუბლირებას ეწევა. ცალკეული კომისიების სხდომები იშვიათად ეწყობა, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და მიღებული გადაწყვეტილებანი ყოველთვის ეფექტიანი არ არის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 2 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლოგიურ-საძებნო, კაპტაჟურ სამუშაოებთან და ჰიდრომინერალური რესურსების საბადოთა ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საუწყებათაშორისო საკითხების განხილვის საკოორდინაციო საბჭო;

ბ) თერმული წყლების გამოვლენისა და სახალხო მეურნეობაში გამოყენების რესპუბლიკური კომისია;

გ) ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების მუდმივი სამთავრობო კომისია;

დ) საქართველოს სსრ წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსის შემმუშავებელი მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კომისია.

გაუქმებული საბჭოსა და კომისიების ფუნქციების შესრულება დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს.

დაევალოს აღნიშნულ კომიტეტს, რომ სამ თვეში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის დებულებაში შესაბამისი დამატებათა შეტანის შესახებ, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1975 წლის 31 მარტის № 196 დადგენილებით დაამტკიცა.

2. გაუქმდეს ტყის ხანძრებთან ბრძოლის მუდმივმოქმედი რესპუბლიკური საგანგებო კომისია, რომლის ოპერატიულ ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გაუქმდეს სელიკოზთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისია და ამ კომისიის ფუნქციების შესრულება დაეკისროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტს.

4. გაუქმდეს საქართველოს სსრ ტერიტორიისა და ატმოსფეროს რადიაციული გაჭუჭყიანების შემსწავლელი საუწყებათაშორისო კომისია, რომლის ფუნქციებს ფაქტიურად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული ანალოგიური კომისია ასრულებს.

5. გაუქმდეს ადამიანისა და ცხოველის ჰელმინტოზებთან ბრძოლის რესპუბლიკური კომისია და დაეკისროს მისი ფუნქციები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

6. დაევალოთ მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კომისიებისა და საბჭოების თავმჯდომარეებს, რომ დასახონ და განახორციელონ მათი საქმიანობის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებანი.

პრაქტიკაში დაინერგოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებზე ამ კომისიათა მუშაობის შესახებ მათი ხელმძღვანელების ანგარიშების მოსმენა.

7. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი დართული ნუსხის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 24 დეკემბერი № 867

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1976 წლის 24 დეკემბრის № 867 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 ივლისის დადგენილების მე-5 პუნქტი;
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 მაისის № 335 დადგენილება;
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 2 ოქტომბრის № 640 დადგენილება;
4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ოქტომბრის № 1132 განკარგულება;
5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 24 აპრილის № 268 დადგენილება;
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 10 მარტის № 219 განკარგულება;
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 18 აპრილის № 245 დადგენილება;
8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 8 აგვისტოს № 504 დადგენილების მე-8 პუნქტი;
9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 8 სექტემბრის № 1039 განკარგულება;
10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 ოქტომბრის № 647 დადგენილება;
11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 10 დეკემბრის № 709 დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სამხატვრო-გასაფორმებელი საამქროს შექმნის შესახებ

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 მაისის № 298 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გამოფენებისა და მათი რეექსპოზიციების მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან შეიქმნას იურიდიული პირის უფლებების მქონე სამხატვრო-გასაფორმებელი საამქრო, როგორც სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისადმი დაქვემდებარებული სამეურნეოანგარიშიანი საწარმო.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სამხატვრო-გასაფორმებელი საამქროს დებულება და მისი საშტატო ნუსხა.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენისათვის შესაბამისი ხელფასის ფონდის გამოყოფის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი 1976 წ. 24 დეკემბერი № 868

ეროვნული ბიბლიოთეკა

101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მიწების გამოყენებისა და მშენებლობის წესის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 16 სექტემბრის № 651 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 5 ნოემბრის № 636 დადგენილებისა „ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ“ (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ივნისის № 376 დადგენილების რედაქციით).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1976 წ. 25 დეკემბერი № 869

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 1976 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/II-77 წ. ქაღალდის ფორმატი 70 × 108 1/16
საბეჭდი თაბახი 8,5 სააღრიცხვო თაბახი 8,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 150 უე 04018 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

6 36 | 120

ეროვნული
ბიბლიოთეკა